საიდ. №63476/03
IR439249

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 126-03/12

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპა-ტენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), ე. ქემაშვილი, ი. გიქორაშვილი, ქ. კილაძის მდივნობით განიხილა კომპანია „ელაიდ გლობალ ტობაკო ლიმიტედ" (GB) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" 2012 წლის 18 მაისის №404/02 ბრძანების ბათილად ცნობა რომლითაც №12342/02 გაიცა სასარგებლო მოდელის პატენტი თანდართული ფორმით.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის აზრით, სადავო სასარგებლო მოდელი არ აკმაყოფილებს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმს, რადგან იგი პრიორიტეტის თარიღისათვის ცხადად გამომდინარეობდა ტექნიკის არსებული დონიდან, რომელსაც განსაზღვრავდა პრიორიტეტის თარიღამდე ხელმისაწვდომი ზემოთმითითებული საინფორმაციო წყაროები.

სადავო სასარგებლო მოდელის „განმასხვავებელი" ნიშანთვისებები:

1. სიგარეტის პლასტმასის მუნდშტუკი ცნობილი უფრო ადრინდელი პრიორიტეტის პატენტებიდან – GE P 2011 5311B, GE P 2011 5341B, RU ПМ №24616
2. უფილტრო სიგარეტის მუყაოსმუნდშტუკი ცნობილია უფრო ადრინდელი პრიორიტეტის პატენტიდან. RU патент

აპელანტის აზრით, დაპირისპირებული ნიშნების სიტყვიერი ელემენტები ერთი შეხედვით ერთმანეთს გავს, თუმცა აღნიშნავს, რომ სიტყვა „CHATEAU" („შატო"), რაც თარგმანში „ციხესიმაგრეს ნიშნავს ვერ იქნება დაცვის საგანი და მასზე ვერ მოითხოვება განსაკუთრებული უფლება, აღნიშნული სიტყვა აღწერილობითია და მიანიშნებს ღვინის წარმოების ზონაზე. იგივე ითქმის სიტყვაზე „LEOVILLE" („ლეოვილი"), რომელიც არის გეოგრაფიული, ანუ სოფლის სახელი და ასევე არ ექვემდებარება დაცვას.

აქედან გამომდინარე აპელანტის აზრით საკვანძოა სიტყვები, ერთ შემთხვევაში „Las Cases" („ლა კაზ") და მეორე შემთხვევაში „BARTON" („ბარტონ"), მათ შორის განსხვავება კი აპელანტის აზრით უდავოა. შესაბამისად, მოცემული განსხვავება გამორიცხავს აღრევის რისკს.

აპელანტი „CHATEAU LEOVILLE BARTON"-ის ისტორიაზე საუბრობს.

„CHATEAU LEOVILLE BARTON" („შატო ლეოვილ ბარტონი") არის საფრანგეთის ბორდოს სენ-ჟულიანის ადგილწარმოშობის ვენახი, როგორც ასევე „Chateau Leoville Las Cases" („შატო ლეოვილ ლა კაზი"). მე-18 საუკუნის საფრანგეთის რევოლუციამდე ორივე წარმოადგენდა განსაკუთრებულ მიწას: ლეოვილის ვრცელ მამულს, რომელიც შემდეგ გაიყო ორ მამულად: „შატო ლეოვილ ლა კაზად" და „შატო ლეოვილ ბარტონად", ეს უკანასკნელი ისევ გაიყო და შეიქმნა მესამე მამული „CHATEAU LEOVILLE POYFERRE" („შატო ლეოვილ პუაფერე").

მამულის მფლობელს და აპელანტს „სოსიეტე დე შატო ლანგოა ე

ლეოვილ ბარტონ”-ს მართავენ ქალბატონი ლილიან ბარტონი და მისი მამა მ. ენტონი ბარტონი, რომლებიც არიან ბარტონის ოჯახის მემკვიდრეები. თომას ბარტონმა დატოვა ირლანდია 1722 წელს და დააარსა მეღვინეობის კომპანია ბორდოს ფრანგულ ქალაქში, ხოლო მისმა შვილიშვილმა ჰიუგო ბარტონმა შეიძინა ლეოვილის მამული, რომელიც მე-19 საუკუნეში გახდა შატო ლეოვილ ბარტონი.

ბორდოს რეგიონის ღვინოებიდან შატო ლეოვილ ბარტონიც, ასევე ცნობილი ღვინოა. შატო ლეოვილ ბარტონი სასაქონლო ნიშნად დარეგისტრირდა 1988, ხოლო „შატო ლეოვილ ლა კაზი 1997წელს, სიტყვიერ ნიშნად კი 2005 წელს.

ორივე ნიშანი წლების განმავლობაში მრავალ ქვეყანაში თანაარსებობს სამომხმარებლო ბაზარზე. რანგუი ბორდოს ღვინოები ხშირად იყენებენ ზოგად დასახელებებს, თუმცა ჰყავთ სხვადასხვა მფლობელი და ამგვარად არსებობენ მსოფლიოში, მაგალითად:

ROTHCHILD/CHATEAU MOUTON ROTHSCHILD and BARON PHILIPPE DE ROTHSCHILD

ALEXIS LICHINE/CHEVALIER LICHINE and LICHINE PREMIER

CHATEAU GRAND PUY LACOSTE/CHATEAU GRAND PUY DUCASSE

CHATEAU CLERC MILON/CHATEAU DUHART-MILON

CHATEAU CROIZET BAGES/CHATEAU LYNCH-BAGES/CHATEAU HAUT-BAGES

LIBERAL/CHATEAU HAUNT-BAGES MONPELOU

აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელმა გასცა თანხმობის წერილი საქართველოში საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის „შატო ლეოვილ ბარტონ” №439249 რეგისტრაციაზე და გამოყენებაზე 33 კლასის საქონლისათვის „ღვინოები”.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის ექსპერტიზის გადაწყვეტილება და სასაქონლო ნიშანი „CHATEAU LEOVILLE BARTON” (საიდ. №63476/03) დარეგისტრირდეს საქართველოში 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 22 ივნისის №1096/03 ბრძანება.

განცხადებული ნიშანი არის სტანდარტული სიტყვიერი ნიშანი, რომელიც

შესრულებულია ლათინური ანბანით და შედგება სამი სიტყვისაგან „CHATEAU LEOVILLE BARTON". დაპირისპირებული ნიშანი „Chateau Leoville Las Cases" შესრულებულია ლათინური ანბანის სტილიზებული შრიფტით და შედგება ოთხი სიტყვისაგან. ამასთან დაპირისპირებული ნიშანი სიტყვიერი ელემენტების გარდა შეიცავს გალავნისა და არკის გამოსახულებას. აღნიშნული არკის ზემოთ მოთავსებულია ლომის ქანდაკება, ხოლო თავად არკას აქვს სიმბოლური ჭიშკარი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია თვლის, რომ ვიზუალური თვალსაზრისით ნიშნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ამასთან, კოლეგია ნაწილობრივ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას, სიტყვების „CHATEAU" და „LEOVILLE" მნიშვნელობასთან დაკავშირებით. კოლეგია, მიიჩნევს, რომ აღნიშვნები „CHATEAU LEOVILLE" მიანიშნებს ღვინის წარმოების ადგილზე და შესაბამისად იგი ვერ იქნება განმასხვავებელუნარიანი ელემენტი ნიშნების შედარებისას. დაპირისპირებული ნიშნების შედარებისას ძირითადი დატვირთვა კეთდება ნიშნებში შემავალ დანარჩენ სიტყვიერ ელემენტებზე „BARTON" და „Las Cases". ამ ორ აღნიშვნას შორის არსებული განსხვავება კი აშკარაა.

კოლეგიამ ასევე მხედველობაში მიიღო თანხმობის წერილი, რომელიც გაცემულ იქნა დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანიის მიერ, სადაც იგი თანხმობას აცხადებს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „CHATEAU LEOVILLE BARTON" დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ.

ამდენად, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ბათილად უნდა იქნეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 22 ივნისის №1096/03 ბრძანება, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „CHATEAU LEOVILLE BARTON" უარი ეთქვა საქართველოში დაცვის მინიჭებაზე.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „SOCIETE DES CHATEAUX LANGOA ET LEOVILLE BARTON” („სოსიეტე დე შატო ლანგოა ე ლეოვილ ბარტონ”) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 22 ივნისის №1096/03 ბრძანება.
3. განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „CHATEAU LEOVILLE BARTON” (IR439249) მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.) გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ეგუტია
წევრები:	ე. ქემაშვილი
	ი. გიქორაშვილი